სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

12 ნოემბერი 2024

N 642/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ კოჭბაანის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 55.17.54.000.205) დასასვენებელი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურისადმი არდაქვემდებარების შესახებ

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2024 წლის 15 ოქტომბერს წარმოდგენილ იქნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ კოჭბაანის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 55.17.54.000.205) დასასვენებელი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია და სკრინინგის განცხადება. აღნიშნული სკრინინგის განცხადება თანდართული დოკუმენტაციით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 23-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, 2024 წლის 18 ოქტომბერს განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე (https://ei.gov.ge/ka/info/c80c1543-0f05-430e-80fa-201457442e8e).

სკრინინგის განცხადების თანახმად, გეგმარებითი ტერიტორია წარმოადგენს სწორი რელიეფის მქონე გაუნაშენიანებელ სივრცეს, რომლის ფართობია 101 167 მ2, აღნიშნულ ტერიტორიაზე ამჟამად მიმდინარეობს ხელოვნური ტბორების მოწყობის (ჯამური მოცულობა 24 840 მ3) სამუშაოები, რომელთა მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სააგენტოს 2023 წლის 23 მაისის N 218/ს ბრძანებით გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი არდაქვემდებარების თაობაზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით ხელოვნურ ტბორებთან ერთად დაგეგმილია დასასვენებელი საცხოვრებელი კომპლექსის მოწყობაც, რასთან დაკავშირებითაც მუშავდება განაშენიანების დეტალური გეგმა. გეგმარებითი ტერიტორიისთვის სხვა სტრატეგიული დოკუმენტი შემუშავებული არაა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად დაგეგმილია მრავალფუნქციური დასასვენებელი-საცხოვრებელი კომპლექსის, საზოგადოებრივი და სარეკრეაციო სივრცეების შექმნა. ტერიტორიაზე დაგეგმილია როგორც ერთიანი დასასვენებელი და საცხოვრებელი კომპლექსის/შენობების, ისე ცალკეული, კერძო ვილების განთავსება, კერძოდ დაგეგმილია 31 საცხოვრებელი ვილის, სასტუმროს შენობის, აპარტამენტების ტიპის საცხოვრებლის, საკონცერტო/საკონფერენციო ტიპის შენობის, დამხმარე და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების მშენებლობა. ასევე მოეწყობა საფეხმავლო და ველო-ბილიკები. დოკუმენტის თანახმად, მოხდება ბუნებრივი გარემოს მაქსიმალურად შენარჩუნება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით გეგმარებით ტერიტორიას აღმოსავლეთით ესაზღვრება უახლოესი დასახლებული სოფელი ოთარაანი (უახლოესი მაცხოვრებელი 180 მ. მანძილში) და ვაზიანი - გომბორი - თელავის საავტომობილო გზა, ჩრდილოეთით ხელოვნური ტბები (დაახლოებით 360 მ მანძილში), სამხრეთით (დაახლოებით 520 მ მანძილში) იორის წყალსაცავი და ეკო ტურისტული კომპლექსი ,,ივრის ხევი", ხოლო დასავლეთით - ტყის მასივი და მის მიღმა მდ. იორი (დაახლოებით 200 მ მანძილში), რომლიდანაც მოხდება ხელოვნური ტბორების წყალმომარაგება.

სკრინინგის განცხადებაში განხილულია გარემოს ფონური მდგომარეობა. კერძოდ: კლიმატური პირობები, კლიმატის მიმდინარე ცვლილებები, გეოლოგიური აგებულება, ტექტონიკა, სეისმურობა, საინჟინრო გეოლოგიური პირობები, ჰიდროლოგია და ბიომრავალფეროვნება (ფლორა და ფაუნა).

საკვლევი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები, ბუნებრივი გარემოს ფაქტორთა (გეომორფოლოგიური, გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური, გეოდინამიკური) სირთულიდან გამომდინარე, მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას.

გეოდინამიკური თვალსაზრისით საკვლევ უბანზე და მის უშუალო სიახლოვეს აღსანიშნავია მდ. იორის სიღრმული და ფართობული ეროზია. დოკუმენტის თანახმად, ძლიერი წვიმების შედეგად გამოწვეული წყალდიდობებისას მდინარის და მისი მარცხენა შენაკადი გომბორის წყლის მძლავრი ნაკადი ფარავს საკვლევ უბნის გარკვეულ ნაწილს,რომლის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში შეინიშნება პერიოდულად დაჭაობებული უბნები. საკვლევ უბანზე სხვა სახის რაიმე საშიში გეოლოგიური პროცესი არ შეინიშნება. კონცეფციის თანახმად საკვლევი უბნის (წყალაღების წერტილი) მდ. იორის და მისი შენაკადის წყალდიდობისგან დასაცავად საჭიროა ჰიდროლოგიური გაანგარიშების საფუძველზე მდინარის მარცხენა ნაპირზე ნაპირდამცავი ღონისძიებების მოწყობა (დამცავი ყრილის მოწყობა ან სხვ.).

გეგმარებითი ტერიტორია არ ხვდება, საქართველოში არსებული დაცულ და სხვა მნიშვნელოვანი ტერიტორიების (ზურმუხტის ქსელის საიტები, ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილები და სპეციალური დაცული ტერიტორიები) სიახლოვეს.

ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება მოსალოდნელია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების საწყის ეტაპზე, ნიადაგის და გრუნტის სამუშაოების წარმოებისას. ამასთან, გეგმარებითი ტერიტორია მცენარეული საფარით ღარიბია, რადგან გეგმარებითი ტერიტორია ანთროპოგენური გავლენის ქვეშაა (დიდი ნაწილი მოქცეულია ტბორების მოწყობის სამუშაოებისთვის განკუთვნილ არეალში). სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, გეგმარებითი ტერიტორიის ნაწილი (18 მ2) მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში. ამჟამად ტერიტორიაზე შესაძლოა შეგვხვდეს ის სახეობები, რომლებიც შეგუებულნი არიან არსებულ ფონს. დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული კომპლექსის მოწყობის პერიოდში არსებული ფონი მნიშვნელოვნად არ გაიზრდება, ხოლო სამუშაოების დასრულების შემდეგ მოსალოდნელია ზოგიერთი მიგრირებული სახეობის უკან დაბრუნება (ასეთების არსებობის შემთხვევაში).

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით, სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება მნიშვნელოვანი არ იქნება, რადგან საპროექტო ტერიტორია გრუნტის გზით უკავშირდება ვაზიანი-გომბორი-თელავი საავტომობილო გზას, რომელიც მნიშვნელოვანი სატრანსპორტო ნაკადებით არ გამოირჩევა. ამასთან, სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკა ძირითადად სტრატეგიული დოკუმენტით

გათვალისწინებულ ტერიტორიაზევე განთავსდება, რაც სატრანსპორტო ნაკადების შეფერხებაზე ზეგავლენას მნიშვნელოვნად შეამცირებს.

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას საპროექტო კომპლექსის საკანალიზაციო წყლების შეგროვებისთვის გამოყენებული იქნება ცენტრალიზებული ქსელი, რომელიც დაუკავშირდება შესაბამის სეპტიკურ ავზს. აღნიშნული ავზის დაცლა მოხდება შევსების შესაბამისად, კონტრაქტორი კომპანიის მიერ.

სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებულ სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ ატმოსფერულ ჰაერზე უარყოფითი ზემოქმედება უმნიშვნელო იქნება. ტერიტორიის დიდი ნაწილიდან მოხსნილია ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და დასაწყობებულია ტერიტორიაზე, რომელიც ტბორების მოწყობის სამუშაოების დასრულების შემდეგ გამოყენებული იქნება რეკულტივაციის სამუშაოებისთვის. შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით, გეგმარებით არეალში არსებულ ნიადაგზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება საშუალო იქნება.

წარმოქმნილი მუნიციპალური, ან მსგავსი შემადგენლობის ნარჩენების განთავსება მოხდება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე. წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება განხორციელდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურის მიერ.

დოკუმენტის თანახმად, ლანდშაფტი ტბორების მოწყობიდან გამომდინარე უკვე სახეცვლილია. სტრატეგიული დოკუმენტით განსაზღვრული ინფრასტრუქტურის მოწყობით ვიზუალურ-ლანდშაფტურ ცვლილებები ადგილმდებარეობიდან გამომდინარე არ იქნება მნიშვნელოვანი.

გეგმარებით ტერიტორიაზე არაა მოქცეული არცერთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი/ობიექტი, თუმცა 190 მეტრის მანძილში მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე სოფ. ოთარაანის „ღვთისმშობლის სამეკლესიანი ბაზილიკა“. დოკუმენტის თანახმად, სამშენებლო ტექნიკის გადაადგილება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სიახლოვეს არ განხორციელდება.

კუმულაციურ ზემოქმედებასთან დაკავშირებით, დოკუმენტაციაში აღნიშნულია რომ სხვა სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება ტერიტორიის სიახლოვეს ამჟამად დაგეგმილი არ არის. სკრინინგის ანგარიშში განხილულია კუმულაციური ზემოქმედების სახეები, რომლებიც შესაძლოა იყოს არსებული და სამომავლო პროექტების განხორციელებისას.

სკრინინგის ანგარიშში განხილულია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციისა და თავიდან აცილების რეკომენდაციები/შემარბილებელი ღონისძიებები.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება რომ სტრატეგიული დოკუმენტით განხორციელება არ იქონიებს მნიშვნელოვან ზემოქმედებას გარემოს გარკვეულ კომპონენტებზე და არ იქნება მასშტაბურ და ხანგრძლივ უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული. ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გეგმარებით ტერიტორიაზე, მიმდინარეობს ხელოვნური ტბორების მოწყობის სამუშაოები. სტრატეგიული დოკუმენტის თაობაზე საზოგადოების მხრიდან შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-20 მუხლის მე-5 და 23-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ კოჭბაანის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 55.17.54.000.205) დასასვენებელი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურისადმი არდაქვემდებარების შესახებ;
2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიას და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო